ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 191 (11497) | შაბათი, 18 აგვისტო, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## მის აღმატებულებას დოქტორ სუკარნოს, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს

ჯაკარტა

ინდონეზიელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის გამო გიგზავნით თქვენ, ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო და პრემიერ-მინისტრო და თქვენი სახით ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ ხალხს ჩვენს გულწრფელ მილოცვასა და საუკეთესო სურვილებს.

საბჭოთა კავშირის ხალხები და მთავრობა უდიდესი სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალყურს ღონისძიებებს, რომლებსაც ინდონეზიელი ხალხი და მთავრობა, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ახორციელებენ ინდონეზიის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, და გისურვებენ წარმატებებს ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულებაში.

ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის შემდგომშიც წარმატებით განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ნ. ხრუშჩოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

1959 წ. 16 აგვისტო

# პარტიული განათლება ახალ სასწავლო წელს

„პრავდა", 16-VIII.

პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო მზადება ახალი 1959-1960 სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. იგი წარმოებს პოლიტიკური განათლების გასული წლის შედეგების გათვალისწინებით. რას მოწმობს ეს შედეგები?

გასულ სასწავლო წელს უწინარეს ყოვლისა ახასიათებს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ყოველმხრივი და ღრმა შესწავლა. ყრილობის მასალების შესწავლამ გაამდიდრა და გააქტიურა პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობა, გააძლიერა კომუნისტებისა და უპარტიოთა ფართო მასების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. მოსკოვში, უკრაინასა და ბელორუსიაში, ლენინგრადის, სვერდლოვსკის და მთელ რიგ სხვა ოლქებსა და რესპუბლიკებში სასწავლო წლის მიმდინარეობაში დამატებით შეიქმნა სკკპ XXI ყრილობის მასალების შემსწავლელი ბევრი წრე და სემინარი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა თეორიული კონფერენციები, ლექციები და ლექციათა ციკლები XXI ყრილობის მიერ წამოყენებულ პრობლემებზე. მაგალითად, უკრაინაში თეორიის საკითხებზე წაკითხულ იქნა 34 ათასზე მეტი ლექცია და მოეწყო ექვსი ათასამდე თეორიული კონფერენცია. ყრილობის მასალების პროპაგანდამ და შესწავლამ გაამდიდრა პარტიული ორგანიზაციების იდეური ცხოვრება, ხელი შეუწყო მასების პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას.

მთავარი დასკვნა, რომელიც ყრილობის მასალების პროპაგანდისა და შესწავლის გამოცდილებიდან გამომდინარეობს, იმაში მდგომარეობს, რომ მარქსისტულ-ლენინური სწავლება კვლავაც შენდებოდეს ცხოვრებასთან, კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან განუყრელ კავშირში. საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიული განათლების როგორც კადრების მარქსისტულ-ლენინური წრთობის სკოლის, როგორც კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალების როლი.

გასულ წელს დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლას. ყველგან გაიზარდა სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების რიცხვი. ბელორუსიის, ყაზახეთის, ლატვიის სს რესპუბლიკებში, რსფს რესპუბლიკის ბევრ ოლქსა, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში პარტიის ისტორიას სწავლობდა თითქმის ერთიორად მეტი კომუნისტი, ვიდრე წინა წლებში. კომუნისტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ პარტიის უკანასკნელი წლების მოღვაწეობის შესწავლისადმი.

გაფართოვდა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა, ამაღლდა ამ პროპაგანდის იდეური დონე. სკოლებში, წრეებში, სემინარებზე, ინდივიდუალური გეგმებით ეკონომიურ თეორიას სწავლობდა ორ მილიონამდე კაცი — იმ პირთა თითქმის ერთი მესამედი, რომლებიც პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობდნენ. დამახასიათებელია, რომ სოციალიზმის, პოლიტეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ არა მარტო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, არამედ აგრეთვე რიგითი მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები. მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქის სევერსკის მეტალურგიულ ქარხანაში კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობდა ორი ათასი მეფოლადე, გამგლინავი და სხვა მუშა.

სასწავლო წლის შედეგებმა აგრეთვე ცხადყო, რომ გაფართოვდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების ქსელიც. უკრაინაში არის მეცნიერული ათეიზმის წრეებისა და სემინარების მუშაობის გამოცდილება. კარგად გამოიჩინა თავი ბევრმა წრემ და სემინარმა, რომლებშიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს სწავლობდნენ. სულ უფრო პოპულარული ხდება მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების ფაკულტეტების მუშაობის პრაქტიკა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და კომიტეტებმა სერიოზულად გააუმჯობესეს პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა, ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტთა შერჩევას, თეორიულ და მეთოდურ მომზადებას.

ამასთან ერთად პარტიული განათლების შინაარსსა და ორგანიზაციაში იყო სერიოზული ნაკლოვანებანი. დავასახელოთ მთავარი მათგანი.

უწინარეს ყოვლისა, პარტიულ განათლებაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული დოგმატიზმისა და სქოლასტიკის ელემენტები, ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტა. წრეებსა და სემინარებში კომუნიზმის იდეებს ხშირად აბსტრაქტული, განყენებული ფორმით გადასცემენ. ეს ასუსტებს პოლიტიკური განათლების, როგორც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალების როლს.

მეცადინეობა ზოგჯერ ეწყობა ფორმალურად, ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინოებას, გასაგები ფორმით გადაცემას, მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებათა შემოქმედებითს გარჩევას, მჭიდროდ დაკავშირებულს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებთან, საწარმოს ან კოლმეურნეობის მუშაობასთან. ხშირად სცვლიან ან განყენებული თეორეტიზირებით ან ფაქტების უბრალო ჩამოთვლით ისე, რომ ანალიზს არ უკეთებენ, არ განაზოგადებენ მათ. პროპაგანდისტებს საკმაოდ არ აიარაღებენ ადგილობრივი მასალებითა და კონკრეტული ეკონომიური ცოდნით.

მთელ რიგ წრეებსა და სემინარებში მსმენელთა ყურადღებას აპყრობენ ისეთ საკითხებს, რომლებსაც თანამედროვე პირობებში აქტუალური მნიშვნელობა არა აქვს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი სისტემატურად და მიზანსწრაფულად, წლითიწლობით იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ეუფლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც მთლიან მოძღვრებას. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა პოლიტიკური მეცადინეობა, განსაკუთრებით მიმდინარე პოლიტიკისა და კონკრეტული ეკონომიკის წრეებში, იქცევა ჩვეულებრივ პოლიტინფორმაციად ან საწარმოო თათბირებად. სუსტად ხორციელდება ხელმძღვანელობა პოლიტიკური თვითგანათლებისადმი, რომელიც თანამედროვე პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის ძირითადი მეთოდია. პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობისადმი ნაკლებად იზიდავენ უპარტიოებს. ბევრი პარტიული ორგანიზაცია ცუდად ხელმძღვანელობს კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემაში პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების მუშაობას.

როგორია მომავალი სასწავლო წლის მთავარი ამოცანები? რას უნდა მიექცეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღება?

**ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ძირითადი შინაარსი უნდა გახდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, სკკპ ისტორიისა და თეორიის, პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ წამოყენებული თეორიული პრობლემებისა და პრაქტიკული ამოცანების ღრმად შესწავლა, მშრომელთა მობილიზაცია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.**

ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად და ბეჯითად ვცდილობდეთ მივაღწიოთ პოლიტიკური განათლების შინაარსის შემდგომ გაუმჯობესებას, მისი იდეური დონის, ქმედითობისა და აღმზრდელობითი როლის ამაღლებას. საჭიროა განვამტკიცოთ პოლიტიკური სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, დავუმორჩილოთ პოლიტიკური განათლება კონკრეტულ ამოცანებს, რომელთა გადაჭრისთვისაც იბრძვიან პარტია და მთელი ხალხი, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდას, მათი პოლიტიკური შეგნებულობის, შრომითი ენთუზიაზმისა და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას.

პოლიტიკურ განათლებას კომუნიზმის იდეები უნდა მიჰქონდეს მშრომელთა შეგნებამდე სავსებით გარკვეული, კონკრეტული ამოცანების სახით, რაზმავდეს მათ კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის საბრძოლველად, ხელს უწყობდეს პირველ რიგში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას. იგი მოწოდებულია ცხადყოს ულრმესი თეორიული და პრაქტიკული აზრი პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებებისა, რომლებიც გიგანტურად აჩქარებენ ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ, ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს ახლის, კომუნისტურის ყლორტებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. პოლიტიკური განათლების მთელი პრაქტიკა ხელს უნდა უწყობდეს შრომისადმი მორალური სტიმულების განვითარებას საზოგადოების საკეთილდღეოდ, საზოგადოებრივი თვითმმართველობის კონკრეტული ჩვევების დაუფლებას, საბჭოთა ადამიანების აღზრდას კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური ზნეობრიობის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით.

პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში, როგორც ამას გამოცდილება მოითხოვს, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკურ თვითგანათლებას და პირველ რიგში დამოუკიდებელი სწავლის კოლექტიურ, სემინარულ ფორმებს. საჭიროა შეიქმნას ფართო ქსელი თეორიული სემინარებისა, რომლებზეც შეისწავლიან სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის როგორც სისტემატურ კურსებს, ისე ცალკეულ პრობლემებს, აგრეთვე კონკრეტული ეკონომიკის, მიმდინარე პოლიტიკის, ათეიზმის, საერთაშორისო მდგომარეობის, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საკითხებს.

საჭიროა ყოველნაირად წავახალისოთ თეორიულ სემინარებში მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეული პრობლემების შესწავლა მსმენელთა საქმიანობასა და პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებით (კომუნისტური აღზრდის, მარქსისტული ესთეტიკის საკითხების, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ფილოსოფიური პრობლემების შესწავლა და ა. შ.). სემინარების ძირითადი შინაარსი უნდა იყოს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა დამოუკიდებლად შესწავლილი საკითხების შემდგომი შემოქმედებითი, კოლექტიური განხილვით.

ამჟამად, როცა მნიშვნელოვნად გაფართოვდა მშრომელთა საერთო და პოლიტიკური ჰორიზონტი, როცა მასობრივი ტირაჟებით გამოდის თეორიული და პოლიტიკური ლიტერატურა, განსაკუთრებით მტკიცედ უნდა იქნას დაცული პოლიტიკურ განათლებაში ნებაყოფლობის პრინციპი. წრეებში სწავლებისათვის მიზიდულ უნდა იქნან მხოლოდ ისინი, ვისაც არა აქვს საჭირო მომზადება დამოუკიდებელი სწავლისათვის, საჭიროა მეტი ზრუნვა იმისათვის, რომ წრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელებს განუვითარდეთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის მასობრიობას, გაქანებას. საჭიროა უფრო ფართოდ მივიზიდოთ პოლიტსკოლებში, წრეებში, სემინარებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში სწავლისათვის უპარტიოები, უწინარეს ყოვლისა კომკავშირელები, აქტივისტები, წარმოების მოწინავეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. პარტიული ორგანიზაციები და კომიტეტები მოწოდებული არიან გააძლიერონ დახმარება კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემისადმი, კომკავშირული პოლიტიკური წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელობისათვის გამოჰყონ საუკეთესო, მცოდნე პროპაგანდისტები, რომლებსაც უყვართ ახალგაზრდობაში მუშაობა, გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება.

უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ თვითეული კომუნისტი და უპარტიო, რომელიც პარტიული განათლების სისტემაში სწავლობს, ეწეოდეს აქტიურ პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას მასებში. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს თანმიმდევრობას, თანამომდევნობას პარტიულ განათლებაში.

სკკპ ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემულია ზოგიერთი პრინციპული საკითხის ახალი განმარტება და გაშუქებულია პარტიის მოღვაწეობის უკანასკნელი, ოც წელზე მეტი ხნის პერიოდი, რომელიც მდიდარია უმნიშვნელოვანესი ამბებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ პარტიის გმირული ისტორიის ცოდნა თვითეული კომუნისტის მოვალეობაა, საჭიროა მოეწყოს სკკპ ისტორიის ფართო, ვადებისა და მეთოდების მიხედვით დიფერენცირებული შესწავლა პოლიტიკური განათლების სისტემაში.

სკკპ ისტორიის შესწავლის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დიდი სამამულო ომის დროს და ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XIX ყრილობის შემდეგ პარტიის მოღვაწეობის ყოველმხრივ და ღრმა შესწავლას.

სკკპ ისტორიის შესწავლის დროს ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მასალები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ისტორიიდან და ამავე დროს არ დავუშვათ, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა ხდებოდეს სკკპ ისტორიისაგან, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციური მოძრაობისაგან მოწყვეტით.

საჭიროა კიდევ უფრო აქტიურად გაიშალოს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის და კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლა კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური კონფერენციების მოწყობის უფრო ფართოდ შემოღებას, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ძირეულად გაუმჯობესებას. ეკონომიურ განათლებას საფუძვლად უნდა ედოს მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური თეორიის, წარმოების სოციალისტური წესის ეკონომიური კანონების, საბჭოთა ხალხის იმ ძირითადი ამოცანების ღრმად შესწავლა, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა წამოაყენეს. ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური პროგრესის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სოფლის მეურნეობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მასალებისა და გადაწყვეტილებების შესწავლას.

1959-1960 წლისათვის რეკომენდებულია პოლიტიკური სწავლების შემდეგი ფორმები:

კომუნისტებისა და უპარტიოებისათვის, რომლებსაც არა აქვთ პოლიტიკური ცოდნის მინიმუმი და საკმაო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება — **პოლიტსკოლები** (წიგნის „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების" გადამუშავებული გამოცემის ბაზაზე, რომელიც დასაბეჭდად მზადდება);

**სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრეები და სემინარები** (გამოსული სახელმძღვანელოს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის" ბაზაზე);

**მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი წრეები და სემინარები** (დამხმარე სახელმძღვანელოს „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების" ბაზაზე, რომელიც დასაბეჭდად მზადდება);

**მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელი სემინარები და წრეები** (წიგნის „მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლების" შესწორებული და შევსებული გამოცემის ბაზაზე, რომელიც დასაბეჭდად მზადდება), **პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარები და წრეები** (სახელმძღვანელოს „პოლიტიკური ეკონომიის" შესწორებული და შევსებული გამოცემის ბაზაზე, რომელიც დასაბეჭდად მზადდება, აგრეთვე პოლიტეკონომიის პოპულარული დამხმარე სახელმძღვანელოს ბაზაზე, რომელიც დასაბეჭდად მზადდება), **კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები და წრეები** (დამხმარე სახელმძღვანელოების „სოციალისტური სამრეწველო საწარმოების ეკონომიკის", „სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკის", „მშენებლობის ეკონომიკის", „საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის" ბაზაზე, რომლებიც გამოსაცემად მზადდება), **ათეიზმის, მიმდინარე პოლიტიკის, საერთაშორისო მდგომარეობის, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის სემინარები და წრეები;**

**ეკონომიური სკოლები** (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, სატრანსპორტო. სავაჭრო პროფილისა);

**მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები** (ზოგადი ნაკადები და ფაკულტეტები: ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიური);

**დამოუკიდებელი მუშაობა** ინდივიდუალური გეგმებით, აგრეთვე **მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეული ნაწარმოებების**, სკკპ ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, მსოფლიო კომუნისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის **ცალკეული პრობლემების შემსწავლელი** თეორიული სემინარების შემადგენლობაში.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეარჩიონ პოლიტსკოლების, წრეების, სემინარების ხელმძღვანელები, კონსულტანტები და ლექტორები და მოაწყონ მათი თეორიული და მეთოდური მომზადება. დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩაბმას პროპაგანდისტულ მუშაობაში.

სასწავლო წლის დაწყებამდე მიზანშეწონილია მოეწყოს თვითეული კატეგორიის პროპაგანდისტებისათვის 1-2 მეცადინეობა პარტიის რაიონულ საქალაქო კომიტეტებსა და პარტიულ კომიტეტებთან არსებულ მუდმივმოქმედ სემინარებზე. ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ან მის დასაწყისში პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებთან და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან მოეწყოს წრეების, სემინარების ხელმძღვანელთა, ლექტორთა და კონსულტანტთა 10-15-დღიანი კურსები.

საჭიროა გააქტიურდეს პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების საქმიანობა, გაძლიერდეს მათი როლი პროპაგანდისტებისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებისათვის დახმარებაში, მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში.

გავრცელების ღირსია მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა მსხვილ პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან **საზოგადოებრივ საწყისებზე** პოლიტიკური განათლების კაბინეტების შექმნის დარგში, აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციების გამოცდილება პოლიტიკური განათლების სახლებთან და კაბინეტებთან მეთოდური ჯგუფებისა და საბჭოების შექმნის დარგში.

პროპაგანდისტთა და თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად საჭიროა მოეწყოს ციკლები ლექციებისა ჩვენი პარტიის თეორიისა და ისტორიის, კომუნისტური მშენებლობისა და კომუნისტური აღზრდის საკითხებზე.

პოლიტიკურ განათლებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პრესას, რადიოს და ტელევიზიას. მათი მოვალეობაა მკაფიო, შინაარსიანი სტატიებითა და მასალებით დაეხმარონ პროპაგანდისტებსა და მსმენელებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, სკკპ თეორიისა და ისტორიის შესწავლაში, პარტიული დოკუმენტების, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების თეორიულ გააზრებაში. ეს სტატიები უნდა იყოს ნიმუში თეორიის განუყრელი კავშირისა პრაქტიკასთან, ისინი უნდა ცხადყოფდნენ მარქსისტულ-ლენინური იდეების ძალას, ქმედითობას, გვიჩვენებდნენ, თუ როგორ ხორციელდება ეს იდეები.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის დროული და ორგანიზებული მომზადება, მისი წარმატებით განხორციელება თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული პარტიული კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი გადაწყვეტისადმი უკვე ახლა მიპყრობილი უნდა იყოს ყველა პარტიული მუშაკის და აქტივისტის დაძაბული ყურადღება. მხოლოდ ამ პირობით შეასრულებს პოლიტიკური განათლება იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც მას სკკპ XXI ყრილობამ დააკისრა.

## კიმ ირ სენისა და ცოი ენ გენის დეპეშა

ეროვნული დღესასწაულის — განთავისუფლების დღის 15 აგვისტოს გამო კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ცოი ენ გენმა 14 აგვისტოს ფხენიანიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ და გულწრფელ მადლობას უხდიან მოძმე საბჭოთა ხალხს.

კორეელი ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, მთელ თავის ძალღონეს ახმარს ბრძოლას სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებისათვის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საიმედოდ დაიცვას მშვიდობისა და სოციალიზმის აღმოსავლეთის ფორპოსტი.

* * *

მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა. (საკდესი).

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1959 წლის 16 აგვისტოსათვის

გეგმის შესრულება პროცენტობით

| | წლიური გეგმისა | აგვისტოს გეგმისა |
|---|---|---|
| ქობულეთის რაიონი | 79,8 | 33,9 |
| ბათუმის | 79,6 | 35,1 |
| ქედის | 77,0 | 34,8 |
| **სულ აჭარის ასსრ-ში** | **79,7** | **34,2** |
| გალის რაიონი | 89,3 | 35,5 |
| ოჩამჩირის | 82,2 | 29,2 |
| სოხუმის | 86,6 | 20,9 |
| გუდაუთის | 86,5 | 14,0 |
| **სულ აფხაზეთის ასსრ-ში** | **86,4** | **30,4** |
| მახარაძის რაიონი | 81,7 | 33,8 |
| ჩოხატაურის | 88,1 | 35,8 |
| ლანჩხუთის | 80,8 | 35,1 |
| სამტრედიის | 78,7 | 31,9 |
| წულუკიძის | 74,5 | 32,3 |
| წყალტუბოს | 93,4 | 43,9 |
| ტყიბულის | 108,8 | 50,5 |
| ცხაკაიას | 89,9 | 37,2 |
| აბაშის | 82,6 | 33,6 |
| გეგეჭკორის | 86,9 | 44,6 |
| ზუგდიდის | 84,8 | 40,0 |
| ჩხოროწყუს | 86,9 | 40,3 |
| წალენჯიხის | 91,5 | 50,9 |
| ხობის | 87,7 | 29,5 |
| თერჯოლის | 82,0 | 15,9 |
| ზესტაფონის | 100,0 | — |
| ვანის | 75,0 | 15,4 |
| ქალ. ჭიათურა | 154,8 | 56,3 |
| ქალ. ფოთი | 66,7 | — |
| **სულ საქართველოს სსრ-ში** | **84,4** | **36,2** |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

## საბჭოთა სპორტის დათვალიერება



სსრკ ხალხთა მეორე სპარტაკიადის დახურვა. სურათზე: სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი მოსკოვის ლენინის სახელობის სტადიონზე.

## სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის საზეიმო დახურვა

**გუშინ** დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებანი. დასკვნითი ზეიმის დასაწყისისათვის ათეულ ათასობით მოსკოველი მშრომელითა და სტუმრით აივსო ლუჟნიკში დიდი სპორტული არენის გიგანტური თასი.

სტადიონზე იყო ბევრი სტუმარი საზღვარგარეთიდან — საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელები, სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეები. დღესასწაულზე მოვიდა გვინეის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება კეთილი ნების ვიზიტით.

მზე უხვად აფრქვევს სხივებს სტადიონის მწვანე მოედანს. იქ მწყობრ რიგებად ჩამწკრივებულან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. უკანასკნელი დღეების განმავლობაში მათ ესოდენი ღელვა და სიხარული არგუნეს სპორტის მილიონობით მოყვარულს ჩვენს ქვეყანაში და შორს მის ფარგლებს გარეთ! განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლის მსვლელობაში ახალი ძალით დადასტურდა ჩვენი საბჭოთა სპორტის შესანიშნავი თვისებები — მისი სწრაფი აღმავლობა, სულ უფრო მზარდი მასობრიობა და ოსტატობა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენებმა სპარტაკიადის მსვლელობაში მნიშვნელოვნად აამაღლეს თავიანთი მიღწევები. ბევრი მათგანი არა მარტო შეჯიბრების ფინალში შევიდა, არამედ ჩემპიონებისა და პრიზიორების მაღალი წოდებაც მოიპოვა.

მეორე სპარტაკიადამ ნიჭიერი ახალგაზრდობის მძაფრი შეტევის ნიშნით ჩაიარა. რეკორდების მძლავრი იერიში შეიძლება ეწოდოს ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოსვლებს ახლანდელ შეჯიბრებებში. ჭაბუკები და ქალიშვილები გახდნენ „ავტორები" მეტი წილი რეკორდებისა 154 ახალი რესპუბლიკური და 10 საკავშირო რეკორდიდან.

შუა მოედნიდან, სადაც მოთავსებულია უზარმაზარი ორკესტრი, მოისმის ფანფარების ხმა. სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე, XV და XVI ოლიმპიურ ასპარეზობათა აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ჩუკარინი მოახსენებს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ნ. რომანოვს, რომ პარადის მონაწილენი მზად არიან მარშისათვის. მიკროფონთან მიდის სპარტაკიადის მთავარი მსაჯი ე. ი. ვალუევი. იგი აცხადებს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის შედეგებს. ხუთ გუნდს, რომლებმაც საუკეთესო შედეგები აჩვენეს, გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზები. **პირველი პრიზი მიიღო მოსკოვის გუნდმა, მეორე — რუსეთის ფედერაციის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრებმა გუნდმა, მესამე — ლენინგრადის კოლექტივმა, მეოთხე — უკრაინის სპორტსმენებმა და მეხუთე — საქართველოს ფიზკულტურელებმა.**

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. რომანოვი ულოცავს სპარტაკიადაში გამარჯვებულთ და უსურვებს ყველა მის მონაწილეს შემდგომ წარმატებებს სამამულო სპორტის განვითარებაში.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან საყვარელი სამშობლოსადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი მისალმების სიტყვებს.

კიდევ უფრო მქუხარე ტაში გაისმის, როცა სპორტის დამსახურებული ოსტატი ათჭიდელი ვ. კუზნეცოვი კითხულობს სპარტაკიადის მონაწილეთა მისასალმებელ წერილს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, მიღებულს სპორტული დელეგაციების წარმომადგენელთა კრებაზე.

ყველას თვალი მიპყრობილია წითელ დროშაზე, რომელიც სტადიონზე ფრიალებს. სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ალამი ნელა ეშვება სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგებში.

როგორც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის სიმბოლო, მოაქვთ ჩვიდმეტი გუნდის წარმომადგენლებს სპარტაკიადის ალამი პარადის კოლონების წინ. ტრიბუნებთან ამაყად ჩაიარეს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბმა, მოკავშირე რესპუბლიკების ალმებმა. მაღლა ფრიალებს დროშა, რომელზეც გამოსახულია დიდი ლენინის პორტრეტი.

მთავარი პრიზი მოაქვთ მოსკოველებს — ორივე სპარტაკიადაში გამარჯვებულებს. შესანიშნავი შედეგი აქვთ დედაქალაქის სპორტსმენებს — მათ ხომ სუფთა გამარჯვება მოიპოვეს სპორტის ოცდაორი სახიდან ათში! დაგროვებულია 344 ქულა.

მხოლოდ 14,5 ქულით ჩამორჩნენ მოსკოველებს რუსეთის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმოგზავნილები. 324 ქულა მოიპოვა ლენინგრადელთა ერთსულოვანმა კოლექტივმა. იგი განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდა სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეში — მძლეოსნობაში.

უკრაინელთა კოლონას მოუძღვიან მსოფლიოში ცნობილი ტანმოვარჯიშეები ბ. შახლინი და ჰ. ასტახოვა — სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონები; მძლეოსანი ი. პეტრენკო, რომელიც ყველაზე მაღლა გადახტა ჭოკით; ყველაზე მარჯვე სასტენდო მსროლელები. მოდიან საქართველოს ფიზკულტურელები, რომლებმაც მაყურებელთა ერთსულოვანი სიმპათიები დაიმსახურეს თავდადებული თამაშით კალათბურთის ტურნირში, რომლის ბადალი სიძნელისა და დაძაბულობის მხრივ, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა სამამულო სპორტის ისტორიაში.

შემდეგ ტრიბუნებს ჩაუარეს ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის ნაკრებმა კოლექტივებმა. შემდეგ მოდიან ლიტვისა და უზბეკეთის გუნდები, რომლებმაც ქულების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. უკანასკნელი ადგილები სატურნირო ცხრილში და მარშ-პარადში ეჭირათ ტაჯიკეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის სპორტსმენებს.

გუნდების შემადგენლობაში არიან წარმოების მუშაკი სპორტსმენები. **საწარმოო კოლექტივები პირველად მონაწილეობდნენ სპარტაკიადაში, და ეს იმის შედეგია, რომ ფიზკულტურა და სპორტი სულ უფრო ფართოდ შედის მილიონობით მშრომელთა ცხოვრებასა და ყოფაში.** სასიხარულოა ლენინგრადის მუშა სპორტსმენთა წარმატება. სახელმწიფო ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის წარმოების მუშაკებმა გაიმარჯვეს მძლეოსნობასა და ცურვაში, სახელგანთქმული კიროვის ქარხნის მშრომელებმა თავი გამოიჩინეს როგორც უძლიერესმა შტანგისტებმა. რიგის ვაგონსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა გაიმარჯვა ველორბოლაში, მოსკოვის კლუბ „ფილის" წევრებმა — ტანვარჯიშში.

მსვლელობის ბოლოში მოდიან შეიარაღებული ძალებისა და „დინამოს" ათლეტური აგებულების სპორტსმენები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს საზოგადოებათა შეჯიბრებაში. ამ ძველისძველ მეტოქეებს შორის ცხარე ბრძოლამ არმიელ სპორტსმენებს მოუტანა მინიმალური უპირატესობა — ნახევარი ქულა. მესამე ადგილი სპარტაკელებმა დაიკავეს.

დღესასწაულის დასასრულს გაიმართა მძლეოსანთა და ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები და შეჯიბრებანი.

საცურაო აუზში სპარტაკიადის დახურვის აღსანიშნავად ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში აჩვენა ჩინებული დრო — 3 წუთი და 47,1 წამი. ეს საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდია.

გაიმართა ფეხბურთის მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე დედაქალაქის გუნდებს „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს" შორის. ანგარიშით 4 : 0 გაიმარჯვეს რკინიგზელებმა.

ვ. პეტრუსენკო,
ვ. ჩიჟოვი.

(„პრავდა", 17-VIII).



გაგანოველთა რიგებს ახლახან მიემატა ახალგაზრდა ქვეოსტატი დიმიტრი მამუკაშვილი. იგი მოწინავე კომპლექტიდან ჩამორჩენილ კომპლექტში სამუშაოდ გადავიდა და სასურველ წარმატებას აღწევს გულმოდგინე შრომით.

დღითიდღე ამაღლებს დავალებათა შესრულების მაჩვენებლებს მოწინავე ფეიქარი. წინ, მუდამ წინ! — ეს არის ახლა შრომისმოყვარე ახალგაზრდა გაგანოველის მისწრაფება, მისი მთავარი მიზანი.

სურათზე: გორის ბამბეულის კომბინატის სართავი საამქროს ქვეოსტატი დ. მამუკაშვილი.

ფოტო ა. ტაბატაძისა.

# პარტიული კონტროლი მძლავრი იარაღია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

## თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მღელვარე დღეებს განიცდის საბჭოთა ხალხი — კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელი. სკკპ XXI ყრილობის მიერ მიღებული შვიდწლიანი გეგმა წარმატებით ხორციელდება. ამოუწურავია ხალხის ინიციატივა, მასების შემოქმედება, რაც ყოველდღე იჩენს თავს თავდადებულ შრომაში. ხალხის წიაღში იშვა შვიდწლედის ვადამდე შესრულების იდეა, რომელიც ახლა ლოზუნგი გახდა და მილიონთა შეგნებას დაეუფლა.

საბჭოთა ადამიანებს ახარებს პირველი წარმატებები შვიდწლედისათვის ბრძოლაში. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყველა ეკონომიური რაიონის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა. შორს წავიდა წინ

...

მა კომიტეტმა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. თათბირზე შეიკრიბა 250-ზე მეტი კაცი—საწარმოო და სავაჭრო საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, კომისიების თავმჯდომარეები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაკები.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ღონისძიებანი შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების შესახებ და ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ პარტიული კონტროლის მოქნილი და ქმედითი ფორმები, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ფართო გასაქანს აძლევს ინიციატივას, შესაძლებლობას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს უფრო კვალიფიციურად და ღრმად ჩასწვდნენ წარმოების საქმეებს, გააუმჯობესონ ორგანიზატორული მუშაობა...

ბის მნიშვნელოვანი ზრდა. საამქროებშიც შექმნილია სხვადასხვა კომისიები. ისინი 30-მდეა. ამ კომისიებში მუშაობა კომუნისტებმა მიანდეს ყველაზე გამოცდილ, ინიციატივიან და პრინციპულ ამხანაგებს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა რიცხვიდან. მაგალითად, მარტენის საამქროს პარტორგანიზაციასთან არსებულ პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისიას სათავეში უდგას საქართველოს მეტალურგიის ერთ-ერთი ვეტერანი, ...

გეგმა, იმიზეზებენ იმას, რომ კომისია მოწოდებულია ოპერატიულად, პარტბიუროს დახმარებით, სამეურნეო ხელმძღვანელების მეშვეობით წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებსაც ცხოვრება აყენებს დღის წესრიგში. მანვე თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კომისიების წინადადებათა და შენიშვნათა განხორციელებისათვის.

საჭიროა მთელი ძალღონით დაუჭი-...

მორჩენამ იჩინა თავი — საგეგმო დავალებები ვერ სრულდებოდა. სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისია, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი კალაშნიკოვი, თავიდანვე შეუდგა ჩამორჩენის მიზეზების შესწავლას. გამოირკვა, რომ ძირითადად ბრალი მიუძღვოდა № 2 საამქროს კოლექტივს. საამქროში სუსტი იყო შრომითი და საწარმოო დისციპლინა, იყო სამუშაოს გაცდენისა და თვითნებურად მიტოვების შემთხვევები. გარდა ამისა, ...

კითხს სწავლობს. ამ საქმის პირველრიგობა გამოწვეულია იმით, რომ ადამიანებს, კონკრეტულ შემსრულებლებს დღემდე არა აქვთ არც თვიური, არც კვარტალური, არც წლიური გეგმები. საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ ოთხი თვის დაგვიანებით დაამტკიცა ავტოსატრანსპორტო კანტორის წლიური გეგმა.

გამოდის თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. სარიშვილი.

— არ შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ საქმე, — ამბობს იგი, — თითქოს ჩვენ წინათ არ ვეწეოდით ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლს, შესრულების შემოწმებას. პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად გა-...

წარმოო საკითხები და მათ მიეპყრობ ყურადღება.

თათბირზე გამოვიდა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის პარტორგანიზაციასთან არსებული უსაფრთხოების ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. რაზმაძე. მისი ნათქვამიდან ცხადი გახდა, რომ კომისია სავსებით სწორი მეთოდებით როდი მოქმედებს. არის ხოლმე შემთხვევები, როცა კომისია უსაფრთხოების ტექნიკის დარგში ნაკლოვანებათა აღმოჩენისას თვითნებურად, სამეურნეო ხელმძღვანელთათვის შეუტყობინებლად აჩერებს მუშაობას, ადგენს აქტებს და ა. შ. შემდეგ გამოსულმა ამხანაგებმა განმარტეს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ინსპექტირება, რომელსაც პარტიულ კონტროლთან...

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# ავამაღლოთ პარტიული პროპაგანდის დონე

ა. გარდაფხაძე,
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ ჩვენს ხალხს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანები დაუსახა. ამჟამად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. მაგრამ კომუნიზმზე გადასასვლელად, როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, საჭიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ აგრეთვე საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე.

...

სობანი წრეებთან და სწავლების ინდივიდუალურ ფორმასთან შედარებით, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაზრდილ იქნა თეორიული სემინარების რაოდენობა, რომლებშიც თეორიულ-იდეურ დონეს იმაღლებდა ათას ექვსასზე მეტი კომუნისტი და უპარ-...

შესწავლილი საკითხებისა და პრობლემების კოლექტიურ განხილვასთან. ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, თეორიული გასაუბრებები და კონფერენციები არა მარტო მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი დახმარების ქმედითი ფორმებია, არამედ ამასთან ერთად წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ...

ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დახმარების სხვა ფორმებთან შედარებით მას მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. ჯერ-ერთი, თეორიული კონფერენცია, როგორც წესი, ფართო აუდიტორიას იზიდავს და, რაც მთავარია, ღრმა. მეცნიერული დისკუსიის საშუალებას იძლევა.

საინტერესოდ ჩატარდა რაიო-...

...ყენებული აქტუალური საკითხების განხილვაში.

კომუნისტების პოლიტიკური განათლებისა და მათი იდეური დონის ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროპაგანდისტთა სწორ შერჩევას, მათთან სისტემატურ მუშაობას. რაიონში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა 132 კომუნისტი, რომელთა აბსოლუტურ უმრავ-...

> პარტიული ორგანიზაციების ვალია აღზარდონ ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი მაღალი მოთხოვნელობის, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის, ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით. საჭიროა სისტემატურად ვამაღლოთ ჩვენი კადრების თეორიული დონე, მათი მარქსისტულ-ლენინური მომზადება.
>
> (სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული კონტროლი მძლავრი იარაღია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

(დასასრული)

კომბინატის პარტორგანიზაციასთან შეიქმნა. მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისია, რომელსაც სათავეში უდგას ინჟინერი ვ. ფიჩხაია, შეუდგა დაბალხარისხოვანი პროდუქციის გადამუშავებისა და ნარჩენების შემცირების საკითხის შესწავლას. შედეგები განხილულ იქნა პარტკომის სხდომაზე სამეურნეო მუშაკთა მონაწილეობით. ამან შესაძლებელი გახადა ცელულოზის ნარჩენების გადამამუშავებელი ერთი დანადგარის ვადამდე გადაცემა საექსპლოატაციოდ, დამატებითი დანადგარების მონტაჟის დაჩქარება. ეს ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია საწარმოო პროცესების სრულყოფისაკენ, უზრუნველყოფენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას წელიწადში 250 ათასი მანეთით.

სახელმწიფო დავალებათა შესრულებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისია არკვევს დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, ასორტიმენტის მიხედვით გეგმების დარღვევის მიზეზებს, იძლევა სიგნალებს სამანქანო მოწყობილობის მოცდენის, ნედლეულისა და მასალების უყაირათოდ ხარჯვის ცალკეულ ფაქტებზე. პარტკომი სწრაფად ეხმაურება კომისიის წინადადებებსა და შენიშვნებს და ეს დადებით შედეგებს იძლევა. კომბინატში წარმოებს დიდი სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ, შენდება საფუარის ახალი ქარხანა, რომელიც მოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მშენებლობის მსვლელობისადმი კონტროლი რომ უზრუნველყონ, კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს და პარტიულ კრებაზე არჩეულ იქნა სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისადმი კონტროლის კომისია. კომისიის სათავეში კომუნისტებმა დააყენეს ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. გელენავა.

თათბირზე გამოვიდა აგრეთვე რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებული ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ლ. ვარდოსანიძე. თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის პარტკომის მდივანი ამხ. ჟ. ძიძიგური თავის გამოსვლაში შეეხო კომისიების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს და აღნიშნა, რომ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უნარიანი შეხამება სამეურნეო საქმიანობასთან შვიდწლედის დიადი გეგმების ვადამდე შესრულების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი იმას, რომ პარტიული კომიტეტები ხშირად უნდა აწყობდნენ კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კომისიების წევრებისათვის უნდა ეწყობოდეს მეთოდური ხასიათის ლექციები და მოხსენებები. პრესა ფართო პროპაგანდას უნდა უწევდეს პარტიული კონტროლის განხორციელების საუკეთესო გამოცდილებას, ავლინებდეს ნაკლოვანებებს კომისიების ორგანიზაციულ მუშაობაში.

პარტიული კონტროლის სწორად განხორციელებისათვის, ამბობდნენ თათბირის მონაწილენი, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები თვითონ კარგად ერკვეოდნენ პარტიული კონტროლის ახალ ორგანიზაციულ ფორმებში. ეს ხელს შეუწყობს საწარმოს ადმინისტრაციასა და პარტორგანიზაციას შორის სწორი ურთიერთობის დამყარებას.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ.

— საწარმოთა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიების მუშაობის პირველი შედეგები, — ამბობს ამხ. ქადაგიძე, — რომლებზეც ბევრი და დაწვრილებით ითქვა თათბირზე, მოწმობენ იმას, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად გაიგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, ყველა ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში გადაწყვიტონ წარმოების ტექნიკური სრულყოფის საკითხები.

მაგრამ ძირითადი სამუშაო წინ არის. წარმატებით რომ განახორციელონ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების სრული შესაბამისობით, პირველადმა პარტორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ კომისიებს. მეტად მნიშვნელოვანია დაეხმარონ მათ კონტროლის მთავარ მიმართულებათა განსაზღვრაში.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მიაღწიონ იმას, რომ კონტროლის ფორმები და მეთოდები სხვადასხვაგვარი იყოს. პარტიული კონტროლის ძალა და ქმედითობა სრულად მაშინ იჩენს თავს, როცა დროზე და ოპერატიულად იქნება მიღებული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, როცა საწარმოს კოლექტივი დარწმუნდება, რომ კომისიების მუშაობას დადებითი შედეგები მოსდევს, რომ ყოველი ღონისძიებით უჭერენ მხარს გაბედულ პრინციპულ კრიტიკას, მიუხედავად ამა თუ იმ სამეურნეო მუშაკის მდგომარეობისა.

ამხ. ქადაგიძემ ანალიზი გაუკეთა კომისიების მუშაობის პირველ გამოცდილებას, აღნიშნა მათი მიღწევები და ამასთან ერთად მიუთითა ამ საქმეში არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებებზე. მთელი რიგი საწარმოების პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან დაინტერესებას არ იჩენენ კომისიების მუშაობით, მათი საქმიანობა თვითდინებაზეა მინდობილი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბევრი კომისია ჯერ კიდევ არ შესდგომია საქმეს.

ზოგიერთ შემთხვევაში კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა შერჩევისას დაშვებულია შეცდომები. არის ისეთი შემთხვევები, როცა კომისიების თავმჯდომარეებად არჩეული არიან სამეურნეო ხელმძღვანელები. ეს სრულებით არ არის სწორი. მიზანშეწონილია კომისიებში იყონ წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, გამოცდილი, მცოდნე, ინიციატივიანი ადამიანები.

პარტიული კონტროლი, ამბობს შემდეგ ამხ. ქადაგიძე, ცოცხალი საქმეა, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის აქტიური, პრინციპული ბრძოლაა. პარტიული ორგანიზაციები მკაცრად უნდა ადევნებდნენ თვალყურს იმას, რომ კომისიები სწორად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, არ ეწეოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგიერობას, არ მოქმედებდნენ მათ ნაცვლად. მომთხოვნელობა, ობიექტურობა, წარმოების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში საწარმოს ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევისადმი მისწრაფება — აი რა უნდა ახასიათებდეს კომისიების მუშაობას.

პარტორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიების შექმნის შემდეგ უნდა გააქტიურდეს საზოგადოებრივი კონტროლის სხვა ფორმების მუშაობაც, რომლებიც წინათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში არსებობდნენ და რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ პარტიული და საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმებს შორის ერთიანობა და მოქმედების შეთანხმებულობა. არ შეიძლება დავუშვათ სხვადასხვა შემოწმების ზედმეტი სიმრავლე, სამეურნეო მართვის აპარატის არასაჭირო გაბეზრება. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში დიდია პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი. წარმოების ახალ წარმატებათა მისაღწევად მათი საქმიანობის წარმართვა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

პასუხსაგები ამოცანები დგას პარტიული კომიტეტების წინაშე. ისინი სისტემატურად უნდა განაზოგადებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების კომისიების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას და ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომისიის კუთვნილებად ხდიდნენ ამ გამოცდილებას.

რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთები მოწოდებული არიან დიდი დახმარება გაუწიონ კომისიებს.

— იმის საუკეთესო შემოწმება, — თქვა დასასრულ ამხ. ქადაგიძემ, — თუ პარტიულმა ორგანიზაციამ რამდენად სწორად გაიგო აზრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა კომისიების შექმნის შესახებ და როგორ ახორციელებს იგი ამ დადგენილებას, იქნება საწარმოს საქმიანობის შედეგები, სახელმწიფო გეგმების შესრულება, წარმოების ზრდა.

შესრულების კონტროლისა და შემოწმების სწორი განხორციელება ხელს შეუწყობს ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებას იმ ახალი ამოცანების დონემდე, რომლებიც პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით არის დასახული.

# საზღვარგარეთ

## საბჭოთა დელეგაცია მონღოლეთში

**ულან-ბატორი**, 16 აგვისტო. (საკდესი). მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში იაპონელ იმპერიალისტებზე საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის შეიარაღებული ძალების გამარჯვების ოცი წლისთავის გამო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ნ. შჩეტინინი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ლ. ცენდი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. მოლომჟამცი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ჯარების საქმეთა მინისტრი და სახალხო ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ჟ. ლხაგვასურენი და სხვა ოფიციალური პირნი.

მიესალმა რა საბჭოთა დელეგაციას, ლ. ცენდმა განაცხადა, რომ მონღოლი ხალხი უდიდესი პატივისცემითა და გულწრფელი მადლობით იგონებს საბჭოთა არმიის მეომართა მამაცობას.

აღნიშნავს რა ხალხინ-გოლის ბრძოლების სამახსოვრო მეოცე წლისთავს, მონღოლი ხალხი, ხაზი გაუსვა ცენდმა, ანგარიშს აძლევს თავისთავს, რომ ამ ისტორიულ გამარჯვებას და სახალხო ხელისუფლების წლებში მიღწეულ წარმატებებს იგი უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა დიდ საბჭოთა ხალხს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ს. ნ. შჩეტინინმა.

## მზე ამოდის კუნძულებზე



ინდონეზია. კუნძული იავა. ბრინჯის აღება ქალაქ ჩერიბონის რაიონში.

* * *

17 აგვისტო შესანიშნავი თარიღია ინდონეზიელი ხალხის ისტორიაში. თოთხმეტი წლის წინათ ამ დღეს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ინდონეზია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული და თავისი განვითარების ახალ ხანაში შევიდა.

ინდონეზიის გზა განთავისუფლებისაკენ ეკლიანი იყო. ხარბმა კოლონიზატორებმა ინდონეზიის კუნძულებზე მე-16 საუკუნის დამლევს მოიკიდეს ფეხი. მათ აქედან გაჰქონდათ სანელებლები და კაუჩუკი, შაქარი და ყავა, ჩაი და ნავთობი, ძარცვავდნენ და ჩაგრავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეკვატორის ორივე მხარეს თბილ ზღვებს შორის გაბნეული ათასი მარადმწვანე კუნძული, რომლებიც ინდონეზიას შეადგენენ, ძველი დროიდან იყო წყარო, რომლიდანაც კოლონიზატორები აურაცხელ სიმდიდრეს იღებდნენ. ინდონეზიელი ხალხის კუთვნილებად ეს კუნძულები მხოლოდ 14 წლის წინათ გახდნენ.

ინდონეზია ყოველწლიურად აწარმოებს 800 ათას ტონა კაუჩუკს, რაც კაპიტალისტურ სამყაროში მთელი მისი მოპოვების დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. ინდონეზია იძლევა 92 პროცენტ ნედლეულს ქინაქინის მსოფლიო წარმოებისათვის, 84 პროცენტ ნედლეულს კოკაინის დასამზადებლად, 80 პროცენტ პილპილსა და სხვა სანელებლებს, 40 პროცენტამდე პალმის ზეთს, 10 პროცენტ შაქარს, 8 პროცენტ ყავას. ფართო მასშტაბი მიიღო კალისა და ნავთობის წარმოებამ: ინდონეზიას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს კალის მოპოვების მხრივ და მეშვიდე ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ნავთობის მოპოვების მხრივ. ინდონეზიის წიაღი მდიდარია რკინით, ნიკელით, ქრომით, მარგანეცით.

ბუნებრივ სიმდიდრეს შეეძლო დიდი ხნის წინათ გადაექცია ინდონეზია სიუხვის ქვეყნად. მაგრამ ინდონეზიაში კოლონიური ბატონობის ისტორია მისი 80-მილიონიანი ხალხის სისხლი, ცრემლები და ტანჯვაა. კარლ მარქსი წერდა, რომ ჰოლანდიელი კოლონიზატორები უმაგალითო სისასტიკეს მიმართავდნენ ინდონეზიაში. ჰოლანდიის კოლონიური მეურნეობის ისტორია, — ხაზგასმით აღნიშნავდა კარლ მარქსი, — ღალატის, მოსყიდვის, ვერაგული მკვლელობის და მზაკვრობის შეუდარებელ სურათს წარმოადგენს.

ინდონეზიელი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ქვეყნის კოლონიურ დამონებას. სამნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი თავდადებულ ბრძოლას ეწეო-[illegible]

[illegible] და განთავისუფლებისათვის. ინდონეზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წლის რევოლუციას რუსეთში და დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცოტა ხნის შემდეგ ინდონეზიაში შეიქმნა მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები, იშვა კომუნისტური პარტია. 1926-27 წლებში იავასა და სუმატრაზე მოხდა მოსახლეობის მასობრივი შეტაკებანი კოლონიზატორთა ჯარებთან. ინდონეზიელმა ხალხმა უკვე მაშინ დააყენა საკითხი ინდონეზიის დამოუკიდებელი, სახალხო რესპუბლიკის შექმნის შესახებ, მაგრამ კოლონიზატორები იარაღის დახმარებით სასტიკად გაუსწორდნენ ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობას.

მხოლოდ ჰიტლერულ გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გა-[illegible]

ლების დასაკმაყოფილებლად 5 ივლისს სპეციალური დეკრეტით გამოაცხადა 1945 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლა. ამავე დროს შეიქმნა ახალი მთავრობა სუკარნოს მეთაურობით. მთავრობაში შევიდნენ ხალხის სულ სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

ვრცელ საპროგრამო სიტყვაში სუკარნომ განაცხადა, რომ მთავრობისა და ხალხის უმთავრესი ამოცანებია ბრძოლა კოლონიალიზმის სრული მოსპობისათვის, მოსახლეობის უზრუნველყოფა უახლოეს ხანში საკმაო სურსათითა და ტანსაცმლით, აგრეთვე კოლონიზატორების განდევნა დასავლეთ ირიანიდან. შეაჯამა რა ინდონეზიის რესპუბლიკის 14 წლის არსებობის შედეგები, პრეზიდენტმა სუკარნომ ხაზგასმით აღნიშნა: „ყველაზე დიდი ჩვენი მიღწევა ის არის, რომ სასტიკი დაუსრულებელი კრიზისები გამოვიარეთ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო სფეროებში და მაინც გადავრჩით, შევინარჩუნეთ ჩვენი ერთიანი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა“.

ახალი მთავრობის პროგრამას ფართოდ უჭერს მხარს ხალხი. ინდონეზიის კომპარტიის გენერალური მდივნის აიდიტის განცხადებაში ნათქვამია, რომ მთავრობის პროგრამა შეესაბამება ხალხის ინტერესებს, რომ კომპარტია მთელი ძალღონით დაუჭერს მხარს კაბინეტის პროგრამის განხორციელებას, რამდენადაც ხალხს იმედი აქვს, რომ მალე გადაიჭრება სურსათისა და ტანსაცმლის პრობლემა, სწრაფად ლიკვიდირებულ იქნება ისლამისტთა ბანდები და მეამბოხეთა ნაშთები, მიღებულ იქნება უფრო მტკიცე ზომები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინდონეზიამ მტკიცე ეკონომიური კავშირი დაამყარა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. ინდონეზია მოწყობილობასა და მანქანებს იღებს სსრ კავშირიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

[illegible]

ბ. აფრინი.

## დიადი გარდატეხა

**პეკინი**, 16 აგვისტო. (საკდესი). „დიდი საერთაშორისო მოვლენა მშვიდობის სასარგებლოდ“. სტატიაში ასეთი სათაურით გაზეთი „გუანმინ ჟიბაო“ წერს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ხელმძღვანელების გადაწყვეტილება ვიზიტები გაუცვალონ ერთმანეთს, მოწმობს დიდმნიშვნელოვან ცვლილებას ომისშემდგომ ვითარებაში. ეს გადაწყვეტილებანი, ნათქვამია სტატიაში, არა მარტო ხელს შეუწყობენ უკეთეს ურთიერთგაგებას ორ სახელმწიფოს შორის და ამით შექმნიან ხელსაყრელ პირობებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, არამედ უთუოდ უდიდეს დადებით გავლენას მოახდენენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეზე. ეს არის საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება, აგრეთვე წარმოადგენს საერთო საერთაშორისო მდგომარეობის ბუნებრივ განვითარებას. ეს, უთუოდ, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს.

განცხადებებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის ურთიერთ ვიზიტების შესახებ ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო საზოგადოებრიობა. ადამიანებს აქვთ საფუძველი დიდი იმედები დაამყარონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ხელმძღვანელების ვიზიტების მომავალ გაცვლაზე, როგორც ფაქტორზე, რასაც უნდა მოჰყვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება და რაც შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის საქმის განმტკიცების ინტერესებს.

„ცივი ომის“ მომხრეები, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, ყოველი ღონით უშლიდნენ ხელს შეთანხმებათა მიღწევას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე და ყოველნაირად ულობავდნენ გზას უმაღლესი დონის თათბირის მოწვევას. მაგრამ მშვიდობის ძალების მძლავრი ზეგავლენით „ცივი ომის“ ყინული დაიძრა. გადაწყვეტილებებმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ხელმძღვანელების ურთიერთ ვიზიტების შესახებ გამოიწვიეს გარდატეხა საერთაშორისო ვითარებაში.

## „ტიტანი“ კვლავ აფეთქდა

**ნიუ-იორკი**, 15 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანავერალის კონცხიდან იუწყება, რომ 14 აგვისტოს აფრენის მომენტში აფეთქდა რაკეტა „ტიტანი“. წარმატება რომ ჰქონოდა, ეს იქნებოდა ყველაზე დიდი რაკეტა, რომელიც კი ოდესმე გაუშვიათ შეერთებულ შტატებს.

## მოკლედ

◆ პრეზიდენტ ტიტოს მიწვევით იუგოსლავიას ვიზიტით ეწვია ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I.

◆ მიმდინარე წელს სრულდება 10 წელი, რაც უნგრეთში შეიქმნა პირველი სახელმწიფო მეურნეობანი. ამჟამად უნგრეთში მუშაობს 238 მარცვლეულისა და მეცხოველეობის, 10 მეთევზეობისა და 15 მეღორეობის სახელმწიფო მეურნეობანი.

◆ იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიაში გრძელდება ქვანახშირის გასაღების კრიზისი, წარსულ კვირაში რურის ოლქის 23 შახტში კვლავ შემოიღეს ეგრეთწოდებული „არასამუშაო ცვლები“. ამის შედეგად 66 ათასი მაღაროელის ხელფასი შემცირდა 1,6 მილიონი მარკით.

◆ პოლონეთში დაიწყო შოპენის მე-14 ფესტივალი. პოლონეთის ქალაქებში იმართება კონცერტები, რომელთა პროგრამები შედგენილია შოპენის ნაწარმოებებისაგან. ამ კონცერტებში მონაწილეობენ ცნობილი პოლონელი მუსიკოსები და მსახიობები.

◆ ტელ-ავივში გაიმართა საგანგებო კონფერენცია, რომელიც მოიწვია ისრაელის ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ორგანიზაციამ იმ მიზნით, რომ დარაზმოს ხალხთა მასები იმ შეთანხმების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მიღწეულია ბენ-გურიონის მთავრობასა და ბონს შორის ისრაელის იარაღის დასავლეთ გერმანიის არმიისათვის მიწოდების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 800 დელეგატმა, რომელთა შორის არიან პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი, ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი პატიმრები, ანტიჰიტლერული კოალიციის არმიის ჯარისკაცები. (საკდესი).

## ნიქსონის გამოსვლა ტელევიზიით

**ნიუ-იორკი**, 15 აგვისტო. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ ტელევიზიის პროგრამით, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში „შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს“.

ნიქსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ურთიერთობის დამყარება საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და დასავლეთის ხელმძღვანელებს შორის „უზრუნველყოფს ჩვენს უთანხმოებათა მოწესრიგების უკეთეს შესაძლებლობას მაგიდასთან საუბრის დროს“ და ხელს შეუწყობს „თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტი, რომელიც გამომდინარეობს არასწორი წარმოდგენიდან“.

ნიქსონმა დაადასტურა, რომ „მშვიდობის შენარჩუნების პერსპექტივები ახლა კარგია“. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ „მსოფლიოს ხალხებს არ სურთ ომი“. „საბჭოთა კავშირის ხალხიც მშვიდობის მომხრეა, — თქვა მან. — აი ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასე შესანიშნავად მიგვიღეს ჩვენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს“.

ნიქსონმა მეტად კარგად მოიხსენია ნ. ს. ხრუშჩოვი, როგორც „უდიდესი ენერგიის ადამიანი“, „გამოჩენილი, გონებამახვილი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევს განიხილოს სადავო საკითხები“. ნიქსონის სიტყვით, ამერიკელებმა უნდა შეიგნონ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი „იმისაგან დამოუკიდებლად, ვეთანხმებით ჩვენ მას თუ არ ვეთანხმებით, მსოფლიო მასშტაბის მეტად ნიჭიერი ლიდერია“.

ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ ჰქონდა ამის საბაბი, თავის გამოსვლაში ცდილობდა ხაზგასმით აღენიშნა „ამერიკის შეერთებული შტატების ძალა“, რასაც თითქოს ჯეროვნად ვერ აფასებენ საბჭოთა კავშირში, და ბევრი ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების „სიმტკიცესა“ და „ნებაზე“ დაიცვან თავიანთი პოზიცია.

## ავიცილოთ საშინელი საფრთხე

**ბეირუთი**, 15 აგვისტო. (საკდესი). ლიბანის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მკვეთრ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთმა ატომური ბომბის გამოცდა მოაწყოს საჰარაში. ეს გამოცდა, ნათქვამია განცხადებაში, საშინელ საფრთხეს შეუქმნის აფრიკის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის აბუჩად აგდება იქნება, რომლებიც მოითხოვენ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდის წარმოება.

კომიტეტი მოუწოდებს ყველა ლიბანელს, განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა, მოსთხოვონ საფრანგეთის მთავრობას ხელი აიღოს ატომური ბომბის გამოცდაზე საჰარაში.

## ბონიდან ისმის იარაღის ჟღარუნი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია ამტკიცებს, — ძალაუფლება სახელმწიფოში ხალხისაგან გამომდინარეობსო. ეს რომ ასე იყოს, კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, მოგონილი ამბავია, სიცრუეა და მოგეხსენებათ, სიცრუე სიცრუედ რჩება მაშინაც კი, როცა იგი ოფიციალურია და კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი.

დასავლეთის სახელმწიფოთა მფარველობით დასავლეთ გერმანიაში კვლავ აღორძინდა, ზოგჯერ შეცვლილი აბრით, მანესმანის, კლიოკნერის, გიომის, ტისენის ქვანახშირისა და მეტალურგიული მონოპოლიები, ქიმიური კონცერნი „იგ ფარბენინდუსტრი“, ელექტროტექნიკური გაერთიანებანი „აეგი“ და „სიმენსი“, უდიდესი ბანკები და ა. შ.

კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია დასავლეთ გერმანიაში ამჟამად გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ჰიტლერული ბატონობის პერიოდში. თუ 1938 წელს გერმანიაში არსებობდა 5.518 სააქციო საზოგადოება 18,7 მილიარდი მარკის საერთო კაპიტალით, 1957 წლის 31 დეკემბრისათვის მათი რიცხვი 2.529-მდე შემცირდა, ხოლო კაპიტალი 26,1 მილიარდ მარკამდე გაიზარდა. ამრიგად, სააქციო საზოგადოებათა საშუალო კაპიტალი 1938 წლის 3,4 მილიონი მარკიდან 1957 წელს 10,3 მილიონ მარკამდე გადიდდა. კაპიტალების კონცენტრაცია უწინარეს ყოვლისა გამოიხატება უმსხვილესი მონოპოლიების კაპიტალების ზრდით. მაგალითად, მანესმანის სააქციო საზოგადოების კაპიტალები 1938 წლის 180 მილიონი მარკიდან 1957 წელს 560 მილიონ მარკამდე გაიზარდა.

ფილიალების შექმნის სისტემის მეშვეობით რაღაც 80-90 მონოპოლია კონტროლს უწევს დასავლეთ გერმანიის მთელი კაპიტალის ორ მესამედს. ქიმიურ მრეწველობაში სააქციო კაპიტალის 70 პროცენტი კონცერნ „იგ ფარბენინდუსტრი“ წილად მოდის; ოთხი ფირმა — ოპელისა, ფორდისა, ფოლკსვაგენისა, დაიმლერ-ბენცისა მთელი ავტომობილების 86 პროცენტს უშვებს; „სიმენსი“ და „აეგი“ კონტროლს უწევენ დასავლეთ გერმანიის მთელი ელექტროტექნიკის 80 პროცენტს. სამი უდიდესი ბანკის („დიდი სამეულის“ — გერმანიის, დრეზდენისა და კომერციული ბანკების) ხელში თავმოყრილია მთელი საკრედიტო ოპერაციების ნახევარზე მეტი. საფინანსო ოლიგარქიის დაახლოებით 150 წარმომადგენელს უჭირავს 1.500-მდე პოსტი სხვადასხვა სააქციო საზოგადოებათა გამგეობებსა და სამეთვალყურეო საბჭოებში, კონტროლს უწევს დასავლეთ გერმანიის მთელ მეურნეობას.

ტისენები, მანესმანები, კლიოკნერები, გიომები, აბსები — აი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნამდვილი ბატონები! ის პიროვნებები, ვინც წარსულში წარმართავდა ჰიტლერის მოქმედებას, ამჟამად ხელმძღვანელ როლს ასრულებენ დასავლეთ გერმანიაში.

ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოსტი უჭირავთ მილიონერთა 300 ოჯახის წევრებს პირადად ან მათ მარიონეტებს. ბუნდესტაგის შემადგენლობაშია 82 დეპუტატი — მსხვილი კონცერნების წარმომადგენელი, 55 მსხვილი მიწათმფლობელი და კულაკი, 84 მთავრობის მოხელე და ყოფილი უმაღლესი ოფიცერი.

განა შეიძლებოდა მისი შემადგენლობა სხვანაირი ყოფილიყო, თუ 1957 წლის წინასაარჩევნო კამპანიისათვის ბატონებმა ფლიკებმა და ტისენებმა 200 მილიონ მარკაზე მეტი დახარჯეს?

ბონის კაბინეტის 18 წევრი მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები არიან, 8 მინისტრი ჰიტლერის ყოფილი სატრაპები, „სს“-ს და „სა“-ს თვალსაჩინო მოღვაწეები არიან. ასეთია ფრანც-იოსებ შტრაუსი — ფაშისტური ტრადიციების გამსჭვალული რევანშისტი, ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი. ასეთები არიან მინისტრი ობერლენდერი და კლიოკნერის კაცი — შრედერი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უჭირავს.

ინტერესს მოკლებული არ არის, რომ 1956 წლის 1 მარტისათვის ბონის რესპუბლიკის ორგანოებში მუშაობდა ჰიტლერული რაიხის 181.202 ყოფილი მოსამსახურე. 600-ზე მეტი იურისტი, რომლებიც ნაცისტური სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებში მუშაობდნენ, „ხალხის სახელით“ ეწევა „მართლმსაჯულებას“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დიპლომატიურ პოსტებზე მეტწილად რიბენტროპის თანამშრომლები მუშაობენ. უკვე 1952 წელს დასავლეთ გერმანიის დიპლომატიური სამსახურის უმაღლეს მოხელეთა 85 პროცენტს ნაცისტური პარტიის წევრები შეადგენდნენ.

ადგილობრივი და ოკეანესგაღმელი მონოპოლიების ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა სრული შესაბამისობით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს სამხედრო მანქანის აღდგენა.

ჰიტლერელი გენერლების სარდლობით უკვე შექმნილია ორასათასიანი არმია და წარმოებს მისი აღჭურვა მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღით, მათ შორის ატომურის იარაღითაც. იმპერიალისტები არ ფარავენ ამ არმიის გადიდების გეგმებს. პარიზის შეთანხმებით ითვალისწინებენ მის ზრდას ნახევარ მილიონზე მეტ კაცამდე.

ვერმახტის აღორძინებას ემსახურება დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, მიმდინარეობს მუშაობა მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოებისათვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა მთელი კომპლექსი ემორჩილება აღმასრულებელი ხელისუფლების სამხედრო-ბიუროკრატიულ ცენტრალიზებულ აპარატს.

მილიონერების მჭრელი თვალი აქვს: კონრად ადენაუერი იმათი ერთგული ლაქიაა, ვისაც მილიონები აქვს. 1914 წლიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადენაუერი რეხტსანვალტის წოდებით კიოლნში მოღვაწეობდა, იგი გულმოდგინედ ხოხავდა მიწაზე „ღმერთების“ წინაშე. სხვადასხვანაირად უგირავებენ სულს ყვითელ ეშმაკს — ადენაუერმა ბანკირთა სახლებთან ნათესაური კავშირის დამყარებისა და პოლიტიკური ლაქიობის გზა აირჩია. შუბი ხალთაში არ დაიმალება, და მისი სახელოვე იმ ადამიანებთან, რომლებმაც პირადად შეუწყეს ხელი ჰიტლერის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში, დღეს ყველასათვის ცნობილია... ვისთვის არ არის ცნობილი გერმანიაში პფერდმენგესის სახელი? არცთუ დიდი ხანია, რაც ეს სახელი სამხედრო დამნაშავეთა სიაში ირიცხებოდა, ახლა კი ბუნდესტაგის დეპუტატთა სიაშია და „ომისშემდგომი გერმანიის უმდიდრეს ადამიანს“ ეკუთვნის. რობერტ პფერდმენგესი ბონის კანცლერის გულითადი მეგობარი, მრჩეველი და პოლიტიკური მენაჯერია.

არა, ხალხი როდი განსაზღვრავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას, იგი იმპერიალისტურ სამზარეულოში მზადდება.

დემოკრატიისა და პროგრესის ძალების დათრგუნვა — ასეთია ამ პოლიტიკის [illegible]




კონრად ბონელი, „ცივი სახის რაინდი“...

ნახ. ბორ. ეფიმოვისა.

ა. კარანაძე.

# ძლიერებისა და სიჭაბუკის ზეიმი

## ასპარეზობის უკანასკნელი დღე სპორტის სასახლის რინგზე

[illegible]

## კალათბურთელთა [illegible]

[illegible]

## მძლეოსნობა

[illegible]

## მოტოსპორტი, ცხენოსნობა

[illegible] ...ნა შეტანილი შეჯიბრებათა კომპლექს-ში. ასპარეზობა მიმდინარეობდა სხვადასხვა სიმძლავრის მანქანებით. უძლიერესის წოდება მოიპოვეს უზბეკეთის, ლენინგრადისა და რსფსრ გუნდების წარმომადგენლებმა. მოტომრბოლთა კოლექტივებს შორის გამარჯვებული გამოვიდა ლენინგრადის გუნდი, რომელმაც 121 საჯარიმო ქულა მიიღო, მეორე ადგილი დაიკავეს უკრაინელებმა, მესამე—საქართველოს მოტომრბოლებმა.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეებში ცხენოსნები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სამჭიდში, დიდი პრიზის მოპოვებაში, უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში. სამჭიდში საქართველოს გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა, დიდი პრიზის გათამაშებაში — მეშვიდე. საერთო გუნდური პირველი ადგილი ცხენოსნობაში მოიპოვეს მოსკოველებმა. საქართველოს გუნდი მე-10 ადგილზე გამოვიდა.

## ცურვა, წყალში ხტომა, ძალოსნობა

ჩვენი ქვეყნის მცურავებმა სპარტაკიადაზე კარგი შედეგები აჩვენეს. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გაიმარჯვა ვ. კუზმინმა (მოსკოვი), რომელმაც სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 2 წუთი და 24,4 წამი. ნებისმიერი სტილით 1.500 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი მივიდა მოსკოველი სპორტსმენი ლავრინენკო.

დღეს მცურავებმა მოაწყეს შეჯიბრება ახალი რეკორდების დასამყარებლად და წარმატებებს მიაღწიეს. უკრაინელმა ლ. ბარბიერმა 200 მეტრზე ზურგით ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 2 წუთი და 20,3 წამი. სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი დამყარებულ იქნა ნებისმიერი სტილით ამანათცურვაში ვაჟთათვის 4×100 მეტრზე (3 წუთი და 47,1 წამი) და ზურგით ცურვაში 200 მეტრზე ქალთათვის (2 წუთი და 38,7 წამი). პირველი დაამყარა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა, მეორე — ლენინგრადელმა ლ. ვიქტოროვამ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. ასეთივე შედეგით დამთავრდა გუნდური შეჯიბრება წყალში ხტომაში.

ძალოსანთა უკანასკნელი დღის ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მძიმე წონის შტანგისტები. სამჭიდში 495 კილოგრამით პირველობა მოიპოვა ივლასოვმა (მოსკოვი). მან ორი ხელით აჭიმვაში აჩვენა 171 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. საქართველოს შტანგისტმა ი. ქართველიშვილმა 440 კილოგრამით მეექვსე ადგილი დაიკავა, მეექვსე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე ჩვენი გუნდი. ჩემპიონი გახდა დედაქალაქის შტანგისტთა კოლექტივი.

## ჭადრაკი, ფარიკაობა

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდა სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ქა- [illegible]

## ჭიდაობა

[illegible] ...ყოფილდა. ჩემპიონი გახდა რსფსრ კოლექტივი (124 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინა (112 ქულა), მესამეზე — საქართველო (105 ქულა), მეოთხეზე — მოსკოვი (99 ქულა), მეხუთეზე — ლენინგრადი (97 ქულა).

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს საქართველოს მოჭიდავეები პირად ასპარეზობაში წარუმატებლად გამოვიდნენ და მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა მოიპოვა ჩემპიონობა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ა. ალიევი (რსფსრ), გ. არსენიანი (საქართველო), ნ. მუშეღიანი (სომხეთი), ვ. სინიავსკი (უკრაინა), მ. ბექმურზოვი (რსფსრ), ტ. ძახსოროვი (რსფსრ), ბ. კულაევი (რსფსრ), ძარესოვი (რსფსრ), ა. გვიმრაძემ და ვ. ბალავაძემ მეორე ადგილები დაიკავეს, გ. სხირტლაძემ — მესამე, გ. გოგიბედაშვილმა — მეექვსე, ო. კანდელაკმა — მეხუთე.



ჩვიდმეტი სპორტული გუნდის წარმომადგენლებს სპარტაკიადის დროშა მოაქვთ ტრიბუნების წინ.

## წყალბურთი, ველოსპორტი

უკანასკნელი დღის მატჩებში წყალბურთელთა კოლექტივებმა შეჯიბრება ასე დაამთავრეს: საქართველო-რსფსრ 2:1, აზერბაიჯანი-უკრაინა 4:1, მოსკოვი-ლენინგრადი 3:3. ამრიგად, მოსკოველებმა საქართველოს და აზერბაიჯანის გუნდებს ორ-ორი ქულით გაუსწრეს და პირველი ადგილი დაიკავეს. დედაქალაქის გუნდი სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდებს 7-7 ქულა აღმოაჩნდათ. მაგრამ აზერბაიჯანელებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი [illegible]

## საბოლოო გუნდური მაჩვენებლები

1. მოსკოვი — 344 ქულა
2. რსფსრ — 329,5 ქულა
3. ლენინგრადი — 324 ქულა
4. უკრაინა — 307 ქულა
5. საქართველო — 269 ქულა
6. ბელორუსია — 228 ქულა
7. ესტონეთი — 210,5 ქულა
8. ლატვია — 185 ქულა
9. ყაზახეთი — 168,5 ქულა
10. სომხეთი — 166 ქულა

[illegible]
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



# შორს ფრიალებს იალქანი

ბავშვები ადრე იყვარებენ ზღვას. ნახულიც რომ არ ჰქონდეთ, ოცნებით მაინც წარმოიდგენენ: ზღვა არის ფართო, უზარმაზარი, რაღაც ზღაპრული წყალი! ამიტომ უსმენენ სულგანაბული, როცა ზღვის ამბავს ამბობენ. გგონიათ, თითქოს ზღვაში მართლა დაცურავს ოქროს თევზი, ნაპირზე ყრია ოქროს ნიჟარები... გულწრფელი, ალალია მათი სიყვარული.

დაიზრდებიან ბავშვები, და როცა მშობლები ზღვის პირას ასეირნებენ, არ იღლებიან ფერადი კენჭების არჩევით. წყალში ჩასვლა მაინც ეშინიათ პირველად, ტალღის მოახლოების დროს მუდამ უკან იხევენ. ასე იქცევიან ისინი, ვინც ახლა სწავლობს პატარა საბავშვო ლექსს „ლალი და ზღვა“.

უფრო მოზრდილნი კი თოლიებივით არ შორდებიან ფირუზისფერ ზვირთებს. უნდათ მთელი დღე აქ იყონ, იბანაონ, მზით გაირუჯონ. ისწავლიან ცურვას, და შორს, შორს ყვინთავენ ზღვით მოხიბლულნი, გაბრუებულნი.

ჯანს იმაგრებენ ჩვენი ბავშვები. მათ იტაცებთ წყალბურთი, უყვართ ნიჩბების მოსმა, ნავებით გაჭრა ზღვის უნაპირო სივრცეში. უმზერენ გემებს, და ოცნებობენ კაპიტნობაზე.

აი ახლა ზაფხული ეძახის დიდსა და პატარას ჩვენი მშობლიური ზღვის სანაპირო ქალაქებისა და აგარაკებისაკენ. ათასობით დამსვენებელი ჯან-ღონეს იკრებს შავი ზღვის პირას. მათ უშიშროებას იცავენ გამოცდილი მცურავები, რომლებიც მთელი დღე ზღვაზე არიან, სანაპიროს წინ მიმოცურავენ იალქნიანი ნავებით. ხიფათის შემთხვევაში კი სწრაფად ცხადდებიან ადგილზე ადამიანის გადასარჩენად.

* * *

სურათზე: სანაპიროს გუშაგობენ იალქნიანი ნავებით.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრი

სულ ოთხიოდე თვეა, რაც თბილისის რკინიგზელის სახლთან შეიქმნა თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრი, რომლის დირიჟორია იულია თავართქილაძე. ორკესტრში გაერთიანებულია 45 კაცი, უმთავრესად რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მათი ოჯახის წევრები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სიმფონიურ ორკესტრს მდიდარი და საინტერესო რეპერტუარი აქვს. პროგრამაშია შუბერტის, დელიბის, არაყიშვილის, ფალიაშვილის, ბიზეს, ჩაიკოვსკის, ლეონკავალოს, გლინკას, სპენდიაროვის ნაწარმოებები.

ორკესტრს ჰყავს ნიჭიერი სოლისტები: გ. მარჯანიშვილი, გ. ვაშაკიძე, ლ. კლიმიშინა, მ. რუხაძე, ა. შიპოვი, მ. ჯალაღანია და სხვები, რომელთა გამოსვლებს მაყურებელი გულთბილად ხვდება.

ამ დღეებში სიმფონიური ორკესტრის მთელი კოლექტივი გაემგზავრა საგასტროლოდ ბათუმში, სამტრედიაში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოხუმში. იგი მომსახურებას გაუწევს რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს.

ვ. ბერძენიშვილი.

# „გზააბნეული შვილი“

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა ამას წინათ მაყურებელს უჩვენა ესპანელი დრამატურგის რანეტის პიესა „გზააბნეული შვილი“. პიესა დადგა თეატრის რეჟისორმა ალ. მაღლაკელიძემ. მხატვრულად გააფორმა დ. ჯიქონაიამ.
(საქ. კორ.).

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა“ კლასი

მოსკოვი. 15 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „დინამო“ და სტალინოს „შახტიორი“. მატჩი მიმდინარეობდა მეტად დაძაბულად და დამთავრდა ფრედ 3:3.

კიევი. 15 აგვისტო. ადგილობრივმა დინამოელებმა თავიანთ მოედანზე მიიღეს მოსკოვის სპარტაკის ფეხბურთელთა გუნდი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

მოსკოვი. 16 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“. თამაში მიმდინარეობდა რკინიგზელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 4:0.

### „ბ“ კლასი

კვირას გაიმართა „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდების შეხვედრები. თბილისის საოლქო სპორტული კლუბის ფეხბურთელებმა „დინამოს“ სტადიონზე მიიღეს ტაგანროგის „ტორპედო“. გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 3:1.

ერევანში ადგილობრივი „სპარტაკის“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 3:2.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და ნალჩიკის „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა 2:1 მასპინძლების გამარჯვებით.

### სსრ კავშირის თასზე

ქალაქ გლუხოვოში გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „ტრუდი“, რომელიც მონაწილეობს „ბ“ კლასის კოლექტივების გათამაშებაში და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი.

მასპინძლებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ, ხოლო დამატებით დროში მოახერხეს ჯერ მასპინძლებმა და შემდეგ არმიელებმა თითო ბურთის გატანა.

დებულების თანახმად შეხვედრა განმეორებით გაიმართა მეორე დღეს. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა 1:1. თამაშის მეორე ნახევარში გლუხოველებმა ვერ გაუძლეს არმიელთა იერიშებს. შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით 7:1.

მორიგ შეხვედრას სსრ კავშირის თასზე არმიელები გამართავენ კიევის „არსენალსა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის გამარჯვებულთან.

# კომბინატორები და მათი ხელშემწყობნი

## სასამართლოს დარბაზიდან

1956 წელი...

ეს მეტად მნიშვნელოვანი და სამახსოვრო თარიღია ვასილ ნიკოლოზის-ძე ცინარიძისა და იაკობ ყუზიას-ძე მოშიაშვილისათვის. სწორედ ამ წელს დაუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს „საქმიანად“ (და სარფიანადაც). ვასილი ქუთაისვაჭრობის № 89 მაღაზიის გამგედ დაინიშნა, ხოლო იაკობი ამავე მაღაზიის პასუხისმგებელ გამყიდველად.

მათ ერთმანეთი ჯერ შორიდან დაზვერეს, აათვალიერ-ჩაათვალიერეს, აწონდაწონეს, ერთმანეთი მოეწონათ და სიხარულით მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმეს... ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს და სამოქმედო გეგმაც დასახეს... შეთანხმდნენ: მოსალოდნელი ხიფათისა თუ ჩავარდნის შემთხვევაში პირიანი, ფოლადივით მტკიცე და კლდესავით ურყევნი ყოფილიყვნენ... კიდევ ერთხელ გაუღიმეს ერთმანეთს და...

და შეუდგნენ „მოღვაწეობას“... დაიწყო ფუსფუსი. სხვადასხვა ჯურისა და პროფესიის ხალხი ჭინჭველასავით ირეოდა მაღაზიაში. ვასილი და იაკობიც დილიდან საღამომდე ჭაპანწყვეტაში იყვნენ, დახლის ერთი თავიდან მეორემდე გარბოდნენ და გამორბოდნენ, დათაფლული სიტყვებით მუშტრებს ეპატიჟებოდნენ, ზოგიერთს თვალს ჩაუკრავდნენ და დახლს უკან საიდუმლო მოფარდაგულისაკენ მიჰყავდათ... ერთი სიტყვით, საქმიანი ხალხი დატრიალდა და საქმეც თანდათან გაიჩარხა. ვასილმა და იაკობმა თავი გაანძრიეს და გონება აამუშავეს, ათასი გზა და ათი ათასი ხვრელი გაიჩინეს... აივსო მაღაზია. მოდიოდა დიდძალი ძვირფასი საქონელი პირდაპირი და არაპირდაპირი გზით, ფაქტურითა და უფაქტუროდ, დღისით და ღამით...

1958 წლის დეკემბერი.

ღამის 12 საათია. ქუჩებში ბნელა და ცივა. ქალაქს სძინავს. სტალინის ქუჩის მე-4 შესახვევის № 10-ში ზინა დომენტის ასულ ლევიძის სახლი და ეზოც ჩაბნელებულია. ღამის სიბნელეში ორი ადამიანის სილუეტი ფეხაკრეფით მიიწევს ჭიშკრისაკენ. ერთი იქვე ჩერდება, მეორე სახლის სარდაფის კარს აღებს. შემდეგ ჩუმი სტვენა, და დატვირთული მანქანა კარებთან შედგა... ადამიანის ორივე სილუეტი სწრაფად მოქმედებს ღამის სიბნელეში. სარდაფში ეზიდებიან რაღაც შეფუთულებს, შეკრულებს... გვიან სარდაფის კარი ხმაურით იკეტება. მანქანა მიდის და ადამიანის ორი სილუეტიც სიბნელეში უჩინარდება.

1959 წლის იანვარი.

№ 89 მაღაზიის კარი თითქმის მიხურულია. იაკობი დახლთან ზის, წინ თეთრი ქაღალდი უდევს, ხელში ავტოკალამი უჭირავს და გულმოდგინედ ანგარიშობს: 103400×12; 5395×9... ვასილი კი საიდუმლო მოფარდაგულს იქით რაღაცას „საქმიანობს“. კარი დაუკითხავად იღება. უცხო, იაკობისათვის არასასიამოვნო პირები შემოდიან. იაკობს კალამი ხელიდან უვარდება, ქვედა ტუჩი ნერვიულად უთამაშებს, ქაღალდის დამალვას აპირებს, მაგრამ გვიანღაა...

მაღაზია ილუქება. აღწერა, შემოწმება და... და ამ დღეებში ბრალდებულის სკამზე ვხედავთ ვასილ ცინარიძესა და იაკობ მოშიაშვილს. საქმეს არჩევს ქუთაისის სახალხო მოსამართლე ა. იობიძე პროკურორ ცქიფურიშვილის მონაწილეობით.

— მტკიცედ დადგენილია, რომ თქვენ დაიქირავეთ 150 მანეთად ზინა ლევიძის სარდაფი, იქ საიდუმლოდ შეზიდეთ 103.400 მანეთის უფაქტურო საქონელი და ეწეოდით სპეკულაციას... აღიარეთ რატომ ჯიუტობთ? — ეკითხება მოსამართლე ბრალდებულებს.

ბრალდებულები კი „ფოლადივით მტკიცე და კლდესავით ურყევნი“ არიან. მათ ხომ წინასწარ შეფიცეს ერთმანეთს და ამ ფიცზე მტკიცედ დგანან. უფრო მეტიც, პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენისა და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის თავისებური „გეგმაც“ მოუფიქრებიათ. ზინა ლევიძის დახმარებით მოქმედებენ „ამ მონტაჟის“ მიხედვით და ყველაფერს უსინდისოდ უარყოფენ.

— არა, საყვარელ ცოლშვილს გეფიცები არაფერი ვიცოდე მაგ საწყობის შესახებ. არც ის ვიცი, ვინ შეზიდა იქ ამდენი საქონელი, — ურცხვად აცხადებს იაკობი და ასევე ურცხვად უდასტურებენ ვასილი და ზინაც.

დარბაზი შეიშმუშნა, ახმაურდა, ისმის უკმაყოფილო შეძახილები... მოსამართლემ ზარი ააწკარუნა.

— კარგი, იაკობ, ის მაინც აგვიხსენი, საიდან გქონდა ის 25.000 მანეთი?

— საკუთარი შრომით, დანაზოგია...

— იაკობ, ჩვენთვის ყველაფერი ნათელია, ნუ ჯიუტობ და მითხარი, რა ციფრებია 103.400 და 5.395, რომლებსაც თქვენ ამრავლებდით, როცა შემოწმებაზე მოვიდნენ? ეს ხომ თქვენს არალეგალურ საწყობში და მაღაზიაში აღმოჩენილი უფაქტურო საქონლის ღირებულებაა? — ჩიხში ამწყვდევს მოსამართლე ბრალდებულს.

ყველაფერი ნათელია.

დარბაზში მსხდომნი კმაყოფილებითა და მოწონების შეძახილებით შეხვდნენ განაჩენს, რომლითაც ხუთ-ხუთი წლის პატიმრობა და პირადი ქონების კონფისკაცია მიესაჯათ ცინარიძესა და მოშიაშვილს. კონფისკებულია საწყობსა და მაღაზიაში აღმოჩენილი უფაქტურო საქონელი და ის 25.000 მანეთიც, რაც მოშიაშვილს აღმოაჩნდა ბინაში.

დარბაზში მსხდომნი კიდევ უფრო დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სასამართლოს სავსებით კანონიერ კერძო დადგენილებას, რომ პასუხისგებაში მიცემულ იქნას ზინა დომენტის ასული ლევიძე, რომელმაც ანგარებითი მიზნით გადათქვა თავისი პირველი ჩვენება, შეეცადა შეცდომაში შეეყვანა სასამართლო და ხელი შეეწყო ბრალდებულებისათვის თავი დაეძვრინათ სასჯელისაგან.

ე. გოგოძე.

# სასოფლო ბიბლიოთეკა

ონის რაიონში ყოველწლიურად ფართოვდება სოფლის ბიბლიოთეკების ქსელი, ყურადღება ექცევა მათს შევსებას ახალი ლიტერატურით. წელს რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკები რამდენიმე ათასი მანეთის მხატვრულ, პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას მიიღებენ. ამას წინათ კვაშხიეთის კოლმეურნეობაში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა, რომელმაც პირველ დღეებშივე მრავალი მკითხველი მიიზიდა. (საქ. კორ.).


# მონადირეთა საყურადღებოდ!

**ნადირობის ვადები და წესები 1959—1960 წლის სანადირო სეზონისათვის**

**ნადირობა ნებადართულია**

მწყერზე, კრონშნეპზე, ქედანზე, გვრიტზე, ველურ მტრედზე, მელოტაზე, ჭაობის ქათამზე, ღალღაზე და იმ ნადირსა და ფრინველზე, რომლებიც ამ განცხადებაში არ არის ჩამოთვლილი—15 აგვისტოდან 1 მარტამდე.

ტყის ქათამზე—აღმოსავლეთ საქართველოში 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე და 15 მარტიდან 15 აპრილამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 15 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე და 1-დან 30 აპრილამდე.

ქოვილოსა და ჭყიამპოზე—1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე და 15 აპრილიდან 31 მაისამდე.

წყალზე მცურავ ფრინველებზე (ბატი, იხვი) 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე, ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის მაღალმთიან რაიონებში 15 აგვისტოდან 1 მარტამდე.

მაჩვზე — 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

კვერნაზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, აფთარი, დათვი, ტურა, გარეული კატა, მელა, ჭრელტყავა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე — მთელი სანადირო სეზონის განმავლობაში, ხოლო 1 მარტიდან 15 აგვისტომდე განსაკუთრებული ნებართვით.

ერთ ნადირობაზე, რამდენ დღესაც არ უნდა გაგრძელდეს იგი, ერთ მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს: წყალზე მცურავი ყველა სახის ფრინველი—არა უმეტეს 10 ცალისა, სარსარაკი—არა უმეტეს 10 ცალისა, სავათი—არა უმეტეს 2 ცალისა, მწყერი — არა უმეტეს 30 ცალისა, ქოვილო — არა უმეტეს 15 ცალისა, ტყის ქათამი — არა უმეტეს 10 ცალისა.

**ნადირობა აკრძალულია**

ჯეირანზე, ნიამორზე, ნუტრიაზე, ამერიკულ წაულაზე, დედოფალაზე, ალტაისა და ტელეუტის ციყვებზე, დურაჯზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე, თეთრ და შავ ყარყატზე, კოდალაზე, გუგულზე და ყველა მგალობელ ფრინველზე განუსაზღვრელი ვადით.

ირემზე, ჯიხვზე, არჩვზე, შველზე, გარეულ ღორზე, კურდღელზე, წავზე, ხოხობზე, კავკასიურ შურთხსა და როჭოზე, კაკაბსა და გნოლზე 1962 წლის 1 იანვრამდე.

ყოველგვარი ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალების, გარდაბანის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის, „ყორუღის“ ხოხბის საჯიშე მეურნეობის, საქართველოს მონადირეთა კავშირის „მაგარი ყურის“ სანადირო მეურნეობის ტერიტორიაზე და ორი კილომეტრის ზონაში ამ მეურნეობათა გარშემო.

ნადირობა აკრძალულია აგრეთვე ყველა აღკვეთილის ტერიტორიაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების გადაწყვეტილებებით.

აჭარის ასსრ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საგაზაფხულო ნადირობა.

მიწერილი სანადირო მეურნეობების ტერიტორიებზე სანადიროდ დაშვებული იქნებიან იმ სამონადირეო საზოგადოებათა წევრები, რომლებზეც მიწერილია ეს მეურნეობა, სხვა მონადირეები კი მხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნებართვით.

დანარჩენ ადგილებში ნადირობა ნებადართულია ახალი ნიმუშის ბილეთის მქონე ყველა მონადირისათვის სათანადო წესებისა და ვადების დაცვით.

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის გაყიდვა ხელზე. ნანადირევის შესყიდვასა და გასაღებას აწარმოებენ მონადირეთა საზოგადოებების მაღაზიები და დამამზადებელი ორგანიზაციები.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.**

# უსინათლო ბავშვთა მშობლების საყურადღებოდ!

**უსინათლო ბავშვთათვის ქ. თბილისში არსებობს სპეციალური საშუალო სკოლა-ინტერნატი. აქ სწავლა ქართულ ენაზეა. სკოლაში ჩარიცხული ბავშვები ცხოვრობენ სკოლის ინტერნატში და იმყოფებიან სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე.**

მოსამზადებელ კლასში ჩაირიცხებიან 7-10 წლის უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები. უსინათლო ბავშვები მიიღებიან I-X კლასებშიც, იმის მიხედვით, თუ თვალხილულთა სკოლების რომელი კლასებიდან არიან ისინი გამოსული მხედველობის დაკარგვის გამო. თავიანთი კლასისათვის ასაკგადაცილებულნი სკოლა-ინტერნატში არ ჩაირიცხებიან.

საშუალო სკოლის კურსის გავლასთან ერთად V-X კლასების მოსწავლენი ეუფლებიან ამა თუ იმ პროფესიას სკოლასთან არსებულ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საამქროებში. სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ კურსდამთავრებულნი მოწყობილი იქნებიან საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ამა თუ იმ წარმოებაში. საჭირო საწარმოო სტაჟის მიღების შემდეგ აკადემიურად უფრო ძლიერნი განაგრძობენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლაში ჩარიცხული უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები ზაფხულობით ჯანმრთელობისა და მშობელთა სურვილის მიხედვით გაყვანილი იქნებიან აგარაკზე.

სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხად განცხადების გარდა საჭიროა შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობა, 2. ცნობა მხედველობის დაკარგვის ან ძლიერ დაქვეითების შესახებ.

სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხავად მშობლებმა ბავშვები უნდა ჩამოიყვანონ 30 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

16 წლისა და მეტი ასაკის უსინათლოებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი.

სკოლა-ინტერნატის მისამართი — ქ. თბილისი, 26 კომისრის რაიონი, გუთნის ქ. № 6,

უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატი, ტელეფონი 4-02-11.

**საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმი.**

**მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას მე-5, მე-10 კლასებში რუსულ და ქართულ სექტორებზე.**

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16 და მეტი წლის ასაკისა, რომლებსაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

დაუსწრებელი საშუალო სკოლა სარგებლობს მასობრივი სკოლის ყველა უფლებით.

განცხადებები მიიღება 1959 წლის 28 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს და იწარმოებს კვირაში სამ დღეს. სკოლაში შემოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, დაბადების მოწმობა, ცნობები განათლებისა და მუშაობის შესახებ და 3 ფოტოსურათი.

ის პირნი, რომლებსაც არა აქვთ საბუთები განათლების შესახებ, აბარებენ გამოცდებს ზოგ საგანში და ჩაირიცხებიან შესაფერ კლასებში.

მისაღები გამოცდები 20-დან 30 აგვისტომდე. სკოლის საკონსულტაციო პუნქტები არის გარდაბანში, თბილისში, საბურთალოზე დოლიძის ქ. № 1, 61-ე საშუალო სკოლის შენობაში. საბუთებს ადგილზე მიიღებენ პუნქტის გამგეები. რაიონში მცხოვრები ერთეული დაუსწრებლები შეიძლება მიმაგრებულ იქნას საკონსულტაციოდ ადგილობრივ სკოლებზე დაუსწრებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე სკოლის კანცელარიაში (ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 155, ტელ. 3-13-46, ოცდამეთოთხე საშუალო სკოლის შენობაში).

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი** აცხადებს **კონკურსს** კლინიკური ორდინატორის თანამდებობაზე ფილტვის ტუბერკულოზში — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და სათანადო საბუთები (ორ-ორ ცალად) ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ქ. თბილისი, მონტინის მე-4 შეს. ‹...›). კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.


# ტელევიზია

**18 აგვისტო**

19.30 — გადაცემა ციკლიდან — „კინომოთხრობები შვიდწლიანი გეგმის შესახებ“ — სამეცნიერო-პოპულარული კინონარკვევი „ახალი მასალების შესახებ“, 20.00 — სიმღერები ქართული კინოფილმებიდან, 20.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.20 — უკანასკნელი ცნობები, 21.30 — მხატვრული ფილმი „ავარა“ (პირველი სერია) მაყურებელთა თხოვნით.

# თბილისი

**18 აგვისტო**

ფილარმონიის საზაფხულო — ბოშათა სიმღერისა და ცეკვის თეატრალიზებული ანსამბლი (დასაწყისი საღამოს 9 საათზე).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უმ 05550 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.